


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის, იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 15 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N16);
3. **მოქმედებაშია** – დამტკიცების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები** – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული პროცედურის შედეგების ან ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებისას, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა არსებული პროცედურა.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

პროცედურაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის ~ (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

შინაარსი

1. გავრცელების სფერო.....	5
2. ნორმატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები.....	5
4. შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესი	7
4.1 შეუსაბამო მომსახურების მართვის თანმიმდევრობა.....	7
4.2 მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვა და მართვა	10
4.3 გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვა და მართვა	13
5. მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესი	15
5.1 ძირითადი დებულება	15
5.2 ბუსსს ანრის კურსების, საგნების იდენტიფიკაცია	15
5.3 მოქმედი დოკუმენტებისა და ფორმების იდენტიფიკაცია	17
6. პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების მართვის პროცესი	17
6.1 ძირითადი დებულება	17
6.2 პრეტენზიებისა და საჩივრების განხილვა.....	18
6.3 ბუსსს ნარის სენატის მუშაობა პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების განხილვისას	19
6.4 „საპატიო სტუმრების გამონათქვამების წიგნი“	21
7. შემოწმება და კონტროლი.....	21
8. რესურსები.....	21
9. პასუხისმგებლობათა განაწილება.....	21
10. ანგარიშგებითი დოკუმენტები.....	22
დანართი 1. ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობის რეგისტრაციის ჟურნალი.....	23
დანართი 2. საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალი.....	24
დანართი 3. შიდა შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობის აქტი.....	25
დანართი 4. შეუსაბამობის აქტების რეგისტრაციის ჟურნალი.....	26
დანართი 5 წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საგამოცდო ოქმის ნიმუში	27
დანართი 6 საგამოცდო ოქმიდან ამონაწერის ნიმუში	28
დანართი 7 საგამოცდო ოქმიდან ამონაწერის ნიმუში	29
დანართი 8 სტუდენტის სასწავლო ბარათის ნიმუში	30
დანართი 9 „პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების შემოსვლის მათი აღმოფხვრისათვის ჩატარებული ღონისძიებების რეგისტრაციის ჟურნალი“.....	34



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**

1. გავრცელების სფერო

- 1) შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა (შემდგომში პროცედურა) განსაზღვრავს ბუსსს ანრიში აღმოჩენილი შეუსაბამობის იდენტიფიკაციის, რეგისტრაციის, ანალიზისა და დამუშავების მიმდევრობას, მაკორექტირებელი და გამოფრთხილებელი ქმედებების შემუშავებისა და დანერგვის წესს, სხვადასხვა სახის მომსახურების იდენტიფიკაციას და მის შესრულებაზე დაკვირვების პროცესს, ბუსსს ანრიში შემოსული პრეტენზიების, საჩივრებისა და აპელაციების მართვის წესს;
- 2) წინამდებარე პროცედურა წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტებს ბუსსს ანრის მთელი პერსონალისთვის;
- 3) პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარები, მუარი და ელ. სახით ინახება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში; ელ.ვერსია ხელმისაწვდომია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე;
- 4) საჭიროებისამებრ პროცედურის აღრიცხული ეგზემპლარების დაგზავნას ახდენს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები

არსებული პროცედურის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 4) საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- 5) საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
- 6) საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით;
- 7) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
- 8) ნდ №2-0201-01- „დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“;
- 9) ნდ №2-0201-05 - “ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების და საქმეთა შემოწმების ჩატარების პროცესის პროცედურა“.


3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია პროცედურა.

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებული ყველაზე უფრო მახასიათებელი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები მოყვანილია ქვემოთ

3.1 ტერმინები და განმარტებები


- 1) **შეუსაბამობა**-მოთხოვნათა შესრულებლობა;
- 2) **შეუსაბამო მომსახურება**- მომსახურება ,რომელიც არ შეესაბამება მომხმარებლის ან ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

- 3) **მაკორექტირებელი ქმედება** - მოქმედება, რომელიც მიმართულია აღმოჩენილი მიზეზის აღმოსაფხვრელად, პროცესის გასაუმჯობესებლად;
- 4) **გამაფრთხილებელი ქმედება**-ქმედება რომელიც მიმართულია შეუსაბამობის მიზეზის აღმოსაფხვრელად ან სხვა არასასურველი სიტუაციის აღმოსაფხვრელად;
- 5) **ობიექტური მტკიცებულება**-მონაცემები რომლებიც ამტკიცებენ რაიმეს სისწორეს,ობიექტური მტკიცებულება შესაძლებელია მიღებული იქნეს დაჯვირვებისას,გაზომვის,გამოცდის ან სხვა გზით.
- 6) **პროცედურა** – მუშაობის / მომსახურების განხორციელების დოკუმენტალურად დადგენილი საშუალება;
- 7) **ხარისხის მართვის სისტემა** – ორგანიზაციული სტრუქტურა, პროცედურები, პროცესები და რესურსები აუცილებელი ხარისხის ხელმძღვანელობის განსახორციელებლად.
- 8) **კონტროლი** – ამა თუ იმ ობიექტის ცვლილების, ექსპერტიზის, გამოცდის ან ცოდნის შეფასების ჩატარების მოქმედება და შედეგების შედარება დადგენილ მოთხოვნებთან იმის გასასაზღვრელად მიღწეულია თუ არა შედეგი.
- 9) **პროცესი** - საქმიანობისა და რესურსების ურთიერთკავშირის ერთობლიობა, რომელიც ახდენს შემოსული ელემენტების გარდაქმნას გასულ ელემენტად.
- 10) **მომსახურების მიწოდება (გაწევა)** - შპს „სსც ანრი“-ს მომსახურების მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი საქმიანობა.
- 11) **საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო** - ზემდგომი ინსტანცია, რომელიც აღიარებს საზღვაო ცენტრებს/სასწავლებლებს, მათ სასწავლო პროგრამებს, მეზღვაურთა მომზადება/ გადამზადება, სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ პროცესებს.
- 12) **საგანმანათლებლო (სასწავლო) პროცესი** - ორგანიზაციის საქმიანობა მიმართული საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე საზღვაო სპეციალისტებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.
- 13) **საგანმანათლებლო პროგრამა** - დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული საზღვაო სპეციალობის პრაქტიკულ გამოცდილებასა და ცენზს, არა ნაკლებ საერთაშორისო კონვენციებისა და აუცილებელი ნორმების შესაბამისად.
- 14) **სასწავლო გეგმა** - დოკუმენტი, რომელიც დადგენილი მომზადების სისტემის ჩარჩოებში განსაზღვრავს სასწავლო კურსების შემადგენლობას, მეცადინეობათა თემებს, ფორმებს და აუცილებელი პროცესების, ტესტირებების, გამოცდების შესრულების ვადას.
- 15) **სასწავლო კურსი / ლექცია** - სასწავლო გეგმით დადგენილი ლოგიკურად და ფუნქციონალურად დასრულებული საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც ითხოვს სტუდენტის / მსმენელისგან თავისი კომპეტენტურობის აუცილებელ მტკიცებულებას.
- 16) **მომსახურება** - უშუალო რეზულტატი შპს „სსც ანრი“-ს და მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებას შორის.
- 17) **პრაქტიკა** - სამუშაოს პრაქტიკული შესრულება.
- 18) **პერიოდული შემოწმება** - მოქმედება, რომელიც მიმართულია კონკრეტული ნორმატიული დოკუმენტის ხელახლა დამტკიცების თუ მხოლოდ გადახედვის საჭიროების დასადგენად.
- 19) **ცვლილება** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის მოდიფიკაცია, დამატება ან გამოკლება.
- 20) **ნორმატიული დოკუმენტი** - შიდა მარეგულირებელი აქტი; სხვადასხვა სახის საქმიანობისა ან მათი შედეგების წესების საერთო პრინციპების ან დახასიათების დამდგენელი დოკუმენტი.
- 21) **იდენტიფიკაცია** - პროცედურა, რომელიც გულისხმობს აბიტურიენტების, სტუდენტების, მსმენელების და მომსახურებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მონაცემების



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals, Service Identification and Traceability

მარკირებას და ეტიკეტირებას განცხადების მიღების მომენტიდან შესაბამისი მომსახურების პროცესის დასრულებამდე.

- 22) **დაკვირვება** - უნარი, მოახდინო დაკვირვება მომსახურების მთელ მანძილზე.
- 23) **ოქმი** - შესრულებული სამუშაოს ან მიღებული რეზულტატის ობიექტური მტკიცებულების წარმომდგენი დოკუმენტი.
- 24) **პრეტენზია** - განცხადება შპს ბუსსს ანრის მუშაობის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ;
- 25) **საჩივარი** - უკმაყოფილების გამოხატვა რაიმე პროცესის, მოქმედების, მომსახურების თუ პერსონალის მიმართ;
- 26) **აპელაცია** - გასაჩივრება
- 27) **დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი** - განსაზღვრული ქვედანაყოფის არრიცხული ეგზემპლარის ნომრის მქონე ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია გრიფი „საკონტროლო ეგზემპლარი“ და სეიცავს ყველა არსებულ ცვლილებას.

3.2 შემოკლებები

- 1) **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) **IMO**-საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია;
- 3) **ISO**-სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- 4) **ხს** - ხარისხის სახელმძღვანელო;
- 5) **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა;
- 6) **ნდ**-ნორმატიული დოკუმენტი


4. შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესი

4.1 შეუსაბამო მომსახურების მართვის თანმიმდევრობა

შეუსაბამო მომსახურების თავიდან ასაცილებლად შპს ბუსსს ანრის მთელი პერსონალი ასრულებს სამუშაოს/მომსახურებას წინამდებარე პროცედურის მოთხოვნების შესაბამისად.

შეუსაბამო მომსახურების გამოვლენის შემთხვევაში, მომსახურების მართვა მიმდინარეობს ამ პროცედურის მიხედვით;

შპს „ბუსსს ანრის მთელი პერსონალი უფლებამოსილია და პასუხისმგებელია ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დროულად შემუშავდეს და დაინერგოს მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებები.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

შეუსაბამო მომსახურების მართვის პროცესის სქემა

- გამოვლენილი
შეუსაბამობები:**
- მომხმარებელზე მომსახურებისას გაწეული სამუშაოს დროს;
 - შესრულებული სამუშაოს დროს გაცემული დოკუმენტების შემოწმებისას;
 - ნორმატიული დოკუმენტების პერიოდული შემოწმების დროს;
 - ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების დროს;
 - შემოსული პრეტენზიებისა და აპელაციების ანალიზის დროს;
 - პერსონალის მომზადების დროს



შეუსაბამო მომსახურება:


- იდენტიფიცირებულია;
- დარეგისტრირებულია;
- გაანალიზებულია;
- მიღებულია გადაწყვეტილება შემდეგი ქმედების შესრულებაზე (კორექტირებულია);
- მიღებულია კორექტირებით ან კორექტირების გარეშე; (ამოღებულია)
- უზრუნველყოფილია დაცვა განზრახ გამოყენებისაგან;
- გაფრთხილებულია საჭირო მხარეები

4.1.1 შეუსაბამო მომსახურების მართვის პროცესის შემავალი მონაცემები

- 1) შეუსაბამო მომსახურების მართვის მიზანს წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის ყოველდღიური საქმიანობისას გამოვლენილი შეუსაბამობების რეგისტრაცია, მათი გრადაციის დადგენა (მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო) და შეუსაბამობათა აღმოფხვრის სამუშაოების ჩატარება, რათა თავიდან აცილებული იქნას მისი შემდგომი დაშვება.
- 2) ბუსსს ანრის პერსონალის მუშაობის პროცესი შეუსაბამოდ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამუშაოს/მომსახურების დროს დაშვებული შეცდომები, შინაგანაწესის, დებულებების, ფუნქციონალური მოვალეობებისა თუ თანამდებობრივი ინსტრუქციების დარღვევა, მომხმარებლის მოთხოვნათა შეუსრულებლობა;
- 3) შეუსაბამო მომსახურების მართვის პროცესის შემავალ მონაცემებად ითვლება შემდეგ პროცესებში გამოვლენილი შეუსაბამობები:
 - ✓ მომხმარებელზე მომსახურებისას გაწეული სამუშაოს დროს;
 - ✓ შესრულებული სამუშაოს დროს გაცემული დოკუმენტების შემოწმებისას;
 - ✓ ნორმატიული დოკუმენტების პერიოდული შემოწმების დროს;
 - ✓ ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების დროს;
 - ✓ შემოსული პრეტენზიებისა და აპელაციების ანალიზის დროს;
 - ✓ პერსონალის მომზადების დროს

4.1.2 შეუსაბამობის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

- 1) შეუსაბამობის იდენტიფიკაცია ხდება იმ კონკრეტულ პროცესთან დაკავშირებით რომელსაც ეხება შეუსაბამობა და რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში.
- 2) **შეუსაბამობის რეგისტრაცია წარმოებს:**
 1. ბუსსს ანრის პერსონალის მიერ, რომლის მიერ იქნა აღმოჩენილი შეუსაბამობა:
 - მომსახურების გაწევის პროცესში
 - მომხმარებელზე მომსახურების გაწევის შემდეგ გაცემული დოკუმენტების შემოწმებისას



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**

2. ბუსსს ანრის განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ ნორმატიული დოკუმენტების პერიოდული შემოწმების დროს;
3. ბუსსს ანრის პერსონალისაგან, რომელიც გამოავლენს შეუსაბამობას ხარისხის სისტემის შიდა შემოწმების დროს;
4. პრეტენზიებისა და აპელაციების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

4.1.3 მომსახურების გაწევისას გამოვლენილი შეუსაბამობები რეგისტრირდება:


- 1) ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობები -ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობის რეგისტრაციის ჟურნალში **(ნიმუში იხ. დანართი 1)**
- 2) შემოსული საჩივრების, პრეტენზიების და მათი აღმოფხვრის რეგისტრაციის ჟურნალში **(ნიმუში იხ. დანართი 2)**
- 3) შიდა შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აქტებში **(დანართი 3)** რომელიც რეგისტრირდება შიდა შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების ჟურნალში**(დანართი4)**

4.1.4 ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილი შეუსაბამობის ჟურნალში რეგისტრაციის წესი:

- 1) ჟურნალი შესაძლებელია არსებობდეს როგორც მყარი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ✓ შეუსაბამობის რიგითი ნომერი
 - ✓ შეუსაბამობის გამოვლენის თარიღი ან დოკუმენტი რომელთან ერთად შეუსაბამობა წარმოდგენილია ქვედანაყოფში
 - ✓ პროცესი, დოკუმენტი, რომელთა დაკავშირებით არის შეუსაბამობა
 - ✓ შეუსაბამობის მოკლე შინაარსი
 - ✓ ღონისძიება (მაკორექტირებელი ქმედება) შეუსაბამობის მიმართ, კონკრეტული შემმრულებლისა და თარიღის ჩვენებით
 - ✓ შესრულების აღნიშვნა; თარიღი
 - ✓ ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ხელმოწერა
- 2) ჟურნალში რეგისტრირდება შეუსაბამობები, რომლებიც გამოვლენილია:
 - ✓ მომხმარებელზე მომსახურების გაწევისას
 - ✓ ბუსსს ანრის ნორმატიული დოკუმენტების შემოწმებისას

4.1.5 შეუსაბამო მომსახურების ანალიზი

- 1) ბუსსს ანრიში შეუსაბამო მომსახურების ანალიზს ახორციელებენ განყოფილებების უფროსები რომელთა კომპეტენციაშიც შედის გამოვლენილი შეუსაბამობების მიხედვით გადაწყვეტილებების მიღება;
- 2) აღმოჩენილ შეუსაბამო მომსახურებას ანალიზს უკეთებს იმ გამყოფილების უფროსი რომლის განყოფილებაშიც იქნა აღმოჩენილი შეუსაბამობა;
- 3) შეუსაბამო მომსახურების ანალიზი ხორციელდება იმ ნორმატიული დოკუმენტების ბაზაზე რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნებს შესაბამის მომსახურებაზე, სამუშაოზე ან დოკუმენტზე. შეუსაბამო მომსახურების ანალიზის დროს აუცილებელია გავითვალისწინებულ იქნას:
 - ✓ უსაფრთხოებაზე შეუსაბამო ზეგავლენის ხარისხი
 - ✓ მომხმარებლის მოლოდინისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება
 - ✓ შპს ბუსსს ანრის ფუნქციების/პროცესების/ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება რომლებსაც აქვთ კავშირი გამოვლენილ შეუსაბამობასთან
 - ✓ ფინანსური დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია შეუსაბამო მომსახურების მართვისათვის



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability

✓ პერსონალის მომზადება

4.1.6 როგორც წესი შეუსაბამობების მიზეზები შეიძლება იყოს:

- 1) წინა ეტაპზე მომსახურების პროცესში სამუშაოს შესრულებისას დაშვებული შეუსაბამობები
- 2) შეუსაბამობები დაშვებული სამუშაოს შესრულებისას, მომსახურებისას ან დოკუმენტების გაფორმებისას
- 3) ნორმატიული დოკუმენტების არა ადექვატურა
- 4) სამუშაოს, მომსახურებისა და პროცესის არა ადექვატურობა

4.1.7 ჩატარებული ანალიზით განისაზღვრება შეუსაბამობების მიზეზები შპს ბუსსს ანრის იმ განყოფილებებისათვის, რომლის საქმიანობაც ეხება შეუსაბამო, ასევე განისაზღვრება მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი მოქმედებები საჭირო რესურსების განსაზღვრით

4.1.4 შეუსაბამო მომსახურების დამუშავება (პროცესის გამომავალი მონაცემები)

4.4.1 შეუსაბამო მომსახურება შეიძლება იყოს:

- 1) კორექტირებული დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობისათვის
- 2) მიღებული კორექტირებით ან მის გარეშე
- 3) ამოღებული

4.4.2 კორექტირებული მომსახურება განმეორებით უნდა იქნას გადამოწმებული შესაბამისობაზე

4.4.3 შეუსაბამობების მიზეზის დადგენის შემდეგ აუცილებელია შემუშავებული და დანერგილი იქნას მაკორექტირებელი მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია შევასრულოთ, რათა აღმოვფხვრათ შეუსაბამობა და ავიცილოთ მისი განმეორება.

4.2 მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვა და მართვა


4.2.1 მაკორექტირებელ ქმედებათა მართვის ზოგადი დებულებები

- 1) ბუსსს ანრიში მაკორექტირებელი ქმედება გამოიყენება როგორც ხარისხის მართვის სისტემის შედეგიანობის განუწყვეტელი სრულყოფისა და ამაღლების საშუალება.
- 2) ნებისმიერი მაკორექტირებელი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს გამოვლენილ შეუსაბამობაზე ზემოქმედებას და უნდა იყოს მოსალოდნელი რისკის (საშიშროების) თანაზომადი. მაკორექტირებელი ქმედება უნდა ითვალისწინებდეს პრობლემის სერიოზულობას, რომელიც გავლენას ახდენს ხარისხის საექსპლუატაციო ხარჯების პოტენციური ზემოქმედების ნაწილში, შეუსაბამობის მართვის ხარჯებზე, ბუსსს ანრის პროდუქციის/მომსახურების მახასიათებლობებზე, საიმედოობაზე, უსაფრთხოებაზე, აგრეთვე მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.
- 3) მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვის პროცესის სქემა:


პრეტენზიები და აპელაციები

გამოვლენილი შეუსაბამობები:

- 1) ყოველდღიურ საქმიანობაში
- 2) ხმს-ის შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობა;
- 3) ხმს-ის გარე აუდიტის დროს გამოვლენილი შეუსაბამობა;
- 4) ხმს-ის მეორე მხარის მიერ შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობა



- შეუსაბამობის აღმოფხვრა და მართვა
- შეუსაბამობის მიზეზის აღმოფხვრა მისი განმეორების თავიდან აცილებისთვის
- ჩატარებული მაკორექტირებელი ქმედებების ანგარიშის დოკუმენტი
- ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან ანალიზის ჩასატარებლად



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**


4.2.2 პროცესის საწყისი (შემოსვლა) მონაცემები

მაკორექტირებელ ქმედებათა დანერგვის პროცესის შემოსული მონაცემები შეიძლება იყოს:

- 1) შეუსაბამობა, გამოვლენილი ყოველდღიურ საქმიანობაში;
- 2) შეუსაბამობა, გამოვლენილი ხმს-ის შიდა შემოწმების შედეგად;
- 3) შეუსაბამობა, გამოვლენილი ხმს-ის გარე შემოწმების შედეგად;
- 4) შეუსაბამობა, გამოვლენილი პრეტენზიებისა და აპელაციების შემოსვლისას

4.2.3 მაკორექტირებელი ქმედების შემუშავება და რეგისტრაცია

- 1) მაკორექტირებელ ქმედებათა შემუშავება წარმოებს შეუსაბამობის ანალიზისა და გამოვლენილი შეუსაბამობის მიზეზების დადგენის შემდეგ.
- 2) მაკორექტირებელ ქმედებათა შემუშავებისა და დანერგვის დროს მხედველობაში მისაღები ორი ასპექტი:
 - ✓ შეუსაბამობის აღმოფხვრა;
 - ✓ შეუსაბამობის მიზეზთა აღმოფხვრა მათი განმეორებით აღმოჩენის თავიდან ასაცილებლად
- 3) ბუსსს ანრიში მაკორექტირებელ ქმედებათა შემუშავებას, ანალიზს და მართვას აწარმოებს:
 - ✓ გამოვლენილი შეუსაბამობების მიხედვით, მიმართულების ხელმძღვანელები, (მაგ. სასწავლო განყოფილების უფროსი, საქმისმწარმოებელი და ა.შ);
 - ✓ პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან შპს ბუსსს ანრის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით, ბრძანებებით, განკარგულებებით, მაკორექტირებელი ქმედების შესრულებაზე.
- 4) შეუსაბამობათა მიზეზების დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება მიმართული უნდა იქნას დოკუმენტირებულ პროცედურებებზე, მისაღები რესურსების არსებობაზე, მოქმედ პერსონალზე, მათ გამოცდილებაზე და კვალიფიკაციაზე.
- 5) მაკორექტირებელ ქმედებათა შემუშავებისას, მხედველობაში მისაღები და გასათვალისწინებელია შემდეგი ასპექტები:
 - ✓ შეუსაბამობის უსაფრთხოებაზე გავლენის ხარისხი;
 - ✓ მომხმარებელთა მოლოდინისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება;
 - ✓ ურთიერთკავშირის ფუნქციები/პროცესები/მიმართულებები, რომელთაც შეხება აქვს გამოვლენილ შეუსაბამობასთან;
 - ✓ ფინანსური ხარჯები, რომლებიც აუცილებელია მაკორექტირებელ ქმედებათა დანერგვისათვის და შემდგომში მოცემული შეუსაბამობის გამოვლენის გამოსარიცხად;
- 6) შეუსაბამობათა განმეორების გამორიცხვის მიზნით, მაკორექტირებელ ქმედებათა შემუშავებისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას პერსონალის მომზადება
- 7) ბუსსს ანრის მომსახურების შესრულების მიმდინარეობისას, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილ შეუსაბამობათა მაკორექტირებელი ქმედების და მაკორექტირებელ ქმედებათა ეფექტურობის შემოწმების შედეგების რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილ შეუსაბამობათა რეგისტრაციის ჟურნალებში.
- 8) ხარისხის შიდა შემოწმების დროს გამოვლენილ შეუსაბამობათა რეგისტრაციისა და ანალიზის წესი განსაზღვრულია ასევე ნდ N2-0201-05 „ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების და საქმეთა შემოწმების ჩატარების პროცესის პროცედურა“-ში.
- 9) როდესაც მაკორექტირებელი ან გამაფრთხილებელი ქმედების შედეგად წარმოიშობა ნდ-ში ცვლილებათა შეტანის აუცილებლობა, ეს ცვლილებები შეტანილი უნდა იქნას შესაბამის ნდ-ის ცვლილების ფურცელში.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**

- 10) ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვლენილ შეუსაბამობებზე მიღებული მაკორექტირებელი ქმედებების შესრულების უზრუნველყოფა და მათი ეფექტიურობის შეფასება წარმოებს ხარისხის მენეჯერის მიერ ან პასუხისმგებელ პირების მიერ, რომელიც მომსახურების შესრულების მიმდინარეობის დროს პასუხისმგებელია სამუშაოთა შესრულებაზე.

4.2.4 მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვა და ეფექტურობის შემოწმება


- 1) მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვის უზრუნველყოფა იმ შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად რომელთა:
- ✓ გამოვლენილია ყოველდღიურ საქმიანობაში;
 - ✓ გამოვლენილია ხმს-ის შემოწმების დროს;
 - ✓ გამოვლენილია ხმს-ის გარე აუდიტის დროს;
 - ✓ პრეტენზიებისა და აპელაციების შემოსვლის შემთხვევაში
- 2) მაკორექტირებელი ქმედებების ეფექტურობის შეფასება წარმოებს იმ ხელმძღვანელი პირის მიერ რომლის საქმიანობასაც ეხება აღმოჩენილი შეუსაბამობა.
- 3) ხარისხის შიდა შემოწმებისა და სერტიფიცირების ორგანოს აუდიტორების მიერ შემოწმების დროს გამოვლენილ შეუსაბამობებზე მიღებული მაკორექტირებელი ქმედებების შესრულების უზრუნველყოფა წარმოებს მიმართულების პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოთა შესრულებაზე, მაკორექტირებელი ქმედების ეფექტურობის შეფასება კი წარმოებს მომდევნო შემოწმებებზე.
- 4) შიდა შემოწმების დროს გამოვლენილ შეუსაბამობებზე მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულება და მათი ეფექტურობის დამოწმება ხდება ხმს-ის აუდიტორების მიერ გეგმით გათვალისწინებული აღმოფხვრის დროს, ან ამ მიზნებისათვის სპეციალურად ორგანიზებული შემოწმების დროს. აღნიშვნა შესრულების თაობაზე კეთდება შეუსაბამობის აქტში.

ამ დროს დაცულია მოქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

- ხარისხის შიდა შემოწმების ჩატარების შემდეგ, ბუსსს ანრის ხარისხის შიდა აუდიტორების მიერ ხდება შეუსაბამობათა აქტების გაფორმება, რომელიც დაეფუძნება განყოფილებების ხელმძღვანელებს/ პასუხისმგებელ პირებს;
 - აქტებზე მოცემულია შეუსაბამობათა აღმოფხვრის ვადები;
 - ამ ვადების გასვლის დროისთვის ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერის მიერ წარმოებს შეუსაბამობათა აღმოფხვრის ფაქტის გადამოწმება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება აქტის დახურვა მასზე ხელმოწერისა და შესრულებული სამუშაოს შეოწმების შესახებ.
- 5) ბუსსს ანრის ხმს-ის შემოწმებისას, სერტიფიცირების ორგანოს თუ სხვა ზემდგომი ორგანოს აუდიტორების მიერ გამოვლენილი ყველა შეუსაბამობის რეგისტრაცია ხდება სერტიფიცირების ორგანოს მიერ დადგენილი ფორმის შემოწმების აქტებში, სადაც ჩართულია მაკორექტირებელი, რეკომენდირებული ქმედება. მაკორექტირებელი/რეკომენდირებული ქმედების შემუშავება ხორციელდება შპს ბუსსს ანრის ხმს მენეჯერის და გენერალური დირექტორის მიერ მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების ვადების დაზუსტებით (მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმის შემუშავებით).

ამ დროს დაცულია მოქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობა:

- სერტიფიცირების თუ სხვა ზემდგომი შემოწმებელი ორგანოს აუდიტორების მიერ ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემის შემოწმების აქტები/ოქმები, გამოვლენილი შეუსაბამობებით და შემუშავებული შესაბამისი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals, Service Identification and Traceability

მაკორექტირებელი/რეკომენდირებული ქმედებებით, გადაეცემა ბუსსს ანრის ხმს მენეჯერს, რომელიც მას ინახავს შესაბამის საქმეში - სერთიფიცირების თუ სხვა ზემდგომი(შემმოწმებელი) ორგანოს აუდიტორების მიერ ბუსსს ანრის ხარისხის სისტემის შემოწმების მასალა. თითოეულ შეუსაბამობაზე მაკორექტირებელ ქმედებათა დანერგვა ხორციელდება ბუსსს ანრის მაკორექტირებელ ქმედებათა დანერგვის ღონისძიებების გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და დანერგვის გზით, შესრულების ვადებისა და შემსრულებლების მითითებით. გეგმა შემუშავდება ხმს მენეჯერის მიერ და მტკიცდება ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ.

- შეუსაბამობათა აღმოფხვრის შემდეგ ხმს მენეჯერი აგზავნის შესაბამის წერილს სასერტიფიკაციო თუ სხვა ზემდგომ (შემმოწმებელ) ორგანოში, სადაც იუწყება აღმოფხვრითი/რეკომენდირებული ქმედებების/ღონისძიების ჩატარების შესახებ.

4.2.5 მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების ვადები

- 1) მაკორექტირებელ ქმედებების შესასრულებლად ინიშნება ვადა.
- 2) დაშვებულია მაკორექტირებელი ქმედებების ვადად შესრულება.
- 3) თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდება მაკორექტირებელი ქმედებების ვადაში შესრულება, გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გადავადება, მაკორექტირებელი ქმედებების შესრულების გაგრძელება გარკვეული ვადით. ასეთ შემთხვევაში ხარისხის სამსახური მიმართავს გენერალურ დირექტორს პატივით, გადავადების მიზეზის ახსნით და გენერალური დირექტორი ნიშნავს გადავადების პერიოდს.
- 4) გამაფრთხილებელი ქმედებების შესრულებას ვადა არ ენიშნება.


4.2.6 პროცესის დასასრული (გამოსავალი) მონაცემები

- 1) მაკორექტირებელ ქმედებათა დანერგვის პროცესის გამომავალი მონაცემები:
 - ✓ შეუსაბამობის აღმოფხვრა და მისი მიზეზები;
 - ✓ მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვისა და შეუსაბამობის აღმოფხვრის ანგარიშგება (პატივი)
- 2) მაკორექტირებელი ქმედებების დანერგვის შედეგები წარმოადგენს „ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის ჩატარების პროცესის პროცედურა“-ის მოთხოვნათა შესაბამისად შპს ბუსსს ანრის ხმს-ის ანალიზის ჩატარების საწყის მონაცემებს. ამასთანავე ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაკორექტირებელ ქმედებებს, რომლებმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯები მათი დანერგვისთვის და რომლებმაც შესაძლოა იქონიონ დიდი ზეგავლენა მომხმარებლის ან სხვა დაინტერესებულ მხარეების დაკმაყოფილებაზე.

4.3 გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვა და მართვა

4.3.1 გამაფრთხილებელ ქმედებათა მართვის ზოგადი დებულებები

- 1) გამაფრთხილებელ ქმედებათა მართვის პროცესი უზრუნველყოფს ბუსსს ანრიში მოქმედი ყველა პროცესის მახასიათებლებისა და პროდუქციის/მომსახურების მახასიათებელთა შესაბამის დონეზე შენარჩუნებას;
- 2) ბუსსს ანრიში გამაფრთხილებელი ქმედებები გამოიყენება, როგორც პროცესების, მომსახურების განუწყვეტილი სრულყოფის, ხმს-ის ეფექტურობისა და შედეგიანობის, აგრეთვე ბუსსს ანრის მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების ამაღლების საშუალება;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**


- 3) გამაფრთხილებელ ქმედებათა დაგეგმვა, შემუშავება, დანერგვა და შესრულება ხდება ბუსსს ანრის პერსონალის მიერ, რომელთაც ორგანიზაციის ყველა დონაზე გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა და უფლებამოსილება

4.3.2 შეუსაბამობათა გამოვლენის მეთოდები და მათი მიზეზები (პროცესის საწყისი მონაცემები)

- 1) ბუსსს ანრიში შეუსაბამობათა მიზეზების გამოსავლენად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:
- ✓ რისკის (საშიშროების) ხარისხის შესაძლო შედეგების ანალიზი ბუსსს ანრის მომხმარებელზე მომსახურების გაწევის დროს;
 - ✓ მომხმარებელთა მოთხოვნებისა და მოლოდინის ანალიზი გაწეული მომსახურების მიხედვით.
 - ✓ ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის ბუსსს ანრიში ხმს-ის ანალიზი;
 - ✓ ხარისხის შიდა შემოწმების შედეგების ანალიზი იმ შემთხვევაში, როდესაც შეუსაბამობები არაა გამოვლენილი, მაგრამ არ არის საკმარისი ფაქტები ამის დასამტკიცებლად.
 - ✓ შპს ბუსსს ანრის ნორმატიული დოკუმენტების პერიოდული შემოწმება;
 - ✓ შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით გაცემული შპს ბუსსს ანრის ანგარიშგებითი დოკუმენტაციის შემოწმების ანალიზის შედეგები.
- 2) ბუსსს ანრიში გამაფრთხილებელ ქმედებათა შემუშავებისა და დანერგვისათვის ინფორმაციის წყაროებს აგრეთვე წარმოადგენენ:
- ✓ ბუსსს ანრის ხმს-ის შემოწმების პროცესში სერტიფიცირების ორგანოს გარე აუდიტორების მიერ გაკეთებული დაკვირვებები;
 - ✓ ბუსსს ანრის შიდა აუდიტორების რეკომენდაციები შიდა შემოწმების შედეგების მიხედვით. რეკომენდაციების გაფორმების წესი განსაზღვრულია ნდ № 2-0201-05– „ხარისხის მართვის სისტემის შიდა შემოწმების და საქმეთა შემოწმების ჩატარების პროცესის პროცედურა“.

4.3.2 შეუსაბამობათა მიზეზების ანალიზი და გამაფრთხილებელ ქმედებათა შემუშავება

- 1) შეუსაბამობათა მიზეზების ანალიზი და აუცილებელი გამაფრთხილებელი ქმედებების შემუშავება წარმოებს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის, ან პროცესების წამყვანი პირის მიერ. გადაწყვეტილება, გამაფრთხილებელ ქმედებათა შემუშავებაზე, მიიღება ბუსსს ანრის დირექტორთან შეთანხმების შემდეგ;
- 2) გამაფრთხილებელ ქმედებათა შემუშავება და ფიქსირება ხდება შემდეგ დოკუმენტებში:
- ✓ ღონისძიებათა გეგმები;
 - ✓ წერილები;
 - ✓ ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის ბრძანებები და განკარგულებები
- 3) გამაფრთხილებელ ქმედებათა შემუშავებისას ყურადღება ეთმობა პერსონალის პასუხისმგებლობის განაწილებას და უფლებამოსილებას, კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობას, რომელთაც ევალებათ გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვა და კონტროლის წარმოება
- 4) ბუსსს ანრის შეუსაბამობათა მიზეზების ანალიზის შედეგები შეიძლება გაფორმებული იქნას ბუსსს ანრის ნორმატიული დოკუმენტებისადმი (წესების, სახელმძღვანელოების, პროცედურების, ინსტრუქციების, დებულებების და ა.შ.) მათი გაუმჯობესების შესახებ წინადადებების სახით. ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაში შედის საჭირო ზომების მიღება შეუსაბამობის წარმოშობის გამოსარიცხად, ანალიზებს მიწოდებულ ინფორმაციას და, აუცილებლობის შემთხვევაში ღებულობს საჭირო ზომებს გამაფრთხილებელი ქმედების შემუშავებისათვის
- 5) გამაფრთხილებელი ქმედება შემუშავებული და დანერგილი უნდა იქნას მოსალოდნელი საშიშროების შესაბამის დონეზე.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**

4.3.3 გამაფრთხილებელი ქმედების დანერგვა და ეფექტურობის შემოწმება

- 1) შეუსაბამოების მიზეზების აღმოსაფხვრელად გამოყენებული გამაფრთხილებელი ქმედების დანერგვის უზრუნველყოფა და გამაფრთხილებელ ქმედებათა ეფექტურობის შეფასება წარმოებს პროცესის მფლობელის მიერ რომელთა საქმიანობასაც მიეკუთვნება შეუსაბამობა
- 2) გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და იმის დასარწმუნებლად რომ დადგენილი მიზეზები მიღწეულია ბუსსს ანრიში წარმოებს გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვის შემოწმება. რომელსაც ახორციელებს კომპანიის ხარისხის მენეჯერი და შედეგებს მოახსენებს დირექტორს.

4.3.4 პროცესის საბოლოო მონაცემები


- 1) გამაფრთხილებელ ქმედებათა მართვის პროცესის საბოლოო მონაცემებს წარმოადგენს:
 - ✓ შეუსაბამობის მიზეზის აღმოფხვრა;
 - ✓ ანგარიში გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვისა და შეუსაბამობის მიზეზების აღმოფხვრის შესახებ.
- 2) გამაფრთხილებელ ქმედებათა დანერგვის შედეგები წარმოადგენს ბუსსს ანრის ნდ № 2-0201-03 „ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი“ მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებულ ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის ჩატარების პროცესის საწყის მონაცემებს.
- 3) შესრულებულ გამაფრთხილებელ ქმედებათა ეფექტურობის შეფასების შედეგები შპს ბუსსს ანრიში გამოიყენება, როგორც საწყისი მონაცემები შპს ბუსსს ანრის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა და გეგმების შემუშავებისათვის.

5. მომსახურების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესი

5.1 ძირითადი დებულება

- 1) ბუსსს ანრიში დანერგილია წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელების (შემდგომში მსმენელი), უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების (შემდგომში სტუდენტი) იდენტიფიკაციის პროცესი, რომლის თანახმად ხდება დადგენილი ღონისძიებების შესრულებაზე დაკვირვება განცხადების მიღების მომენტიდან შესაბამისი მომსახურების შესრულების ბოლო ეტაპამდე (ეს იქნება მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირების, საგანმანათლებლო თუ დასაქმების პროცესი).
- 2) საზღვაო სპეციალისტების მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირება, წვრთნა (ტრენაჟორული მომზადება), საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მეზღვაურების დასაქმება, შერჩევა ეკიპაჟის დაკომპლექტების მიზნით.
- 3) მომსახურების სრულ ეტაპზე იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის განხორციელება.
- 4) იდენტიფიკაციის პროცესი:
 - ✓ იდენტიფიკაციური ნომერი ენიჭება ბუსსს ანრის თითოეული კურსს, სასწავლო და საწვრთნელ პროგრამას, პირად საქმეს, ნებისმიერ მოქმედ ფორმას, რომელიც გამოიყენება ბუსსს ანრის მუშაობის პროცესში.

5.2 ბუსსს ანრის კურსების, საგნების იდენტიფიკაცია




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**შეუსაბამო მომსახურების, პრეტენზიების, საჩივრების და აპელაციების მართვის, მომსახურების
იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის პროცესის პროცედურა
Procedure of Control of Nonconforms, Claims, Complaints and Appeals,
Service Identification and Traceability**

ბუსსს ანრი ფუნქციონირებს საზღვაო სააგენტოს მიერ აღიარებული მეზღვაურთა მომზადება/გადამზადება, სერტიფიცირების კურსები; განათლების სამინისტროს მიერ ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული განათლების პროგრამები, რომელთა იდენტიფიკაცია ხდება შემდეგნაირად:

- 1) ყოველ კურსს / საგანს სპეციალობის მიხედვით გააჩნია თავისი ორნიშნა კოდი (შედგება ორი ციფრისგან), რომელიც შეესაბამება კურსის თუ საგნის სასწავლო პროგრამის (დებულების) ან მოდულის ნომერს, მაგალითად სასწავლო კურსს „კავშირისა და უსაფრთხოების საზღვაო გლობალური სისტემა“ გააჩნია იდენტიფიკაციური კოდი -01-, რომელს შეესაბამება სასწავლო კურსის პროგრამაზე მინიჭებული ნომრის ბოლო ორ ციფრს, ანუ პროგრამის ნომრის ნდ 2-0301-01, აქედან ბოლო ორი ციფრი არის კურსის იდენტიფიკაციური ნომერი.
 - 2) იდენტიფიკაციური ნომერი ასევე განისაზღვრება კურსების, საგნების, სპეციალობების მიხედვით, რომელიც შედგება კურსის/საგნის კოდისა და რიგითი ნომრისგან, კერძოდ:
